



ევროკავშირი მხარს უჭერს ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობას და აქტიურ მოქალაქეობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

ახალგაზრდობის და განათლების პაკეტი: ცვლილებები 2020 წლამდე და მას შემდეგ

ახალგაზრდობის პერსპექტივების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ექვს პარტნიორ ქვეყანასთან ერთად, ევროკავშირის მიზანია შეუქმნას ახალგაზრდებს სწავლის, მუშაობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულად მონაწილეობის და საკუთარი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები.

ევროკავშირი დაახლოებით 330 მილიონი ევროს მხარდაჭერას ახორციელებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მისი ახალგაზრდობის და განათლების პაკეტის საშუალებით 2017-2020 წლებისთვის.

ინიციატივით ახალი შეთანხმება ახალგაზრდობისთვის, რომელიც 2020 წლის მარტში იყო შემოთავაზებული ევროკომისიის მიერ, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ელემენტი 2020 წლის შემდეგ, იწვევს ახალგაზრდობაში ამ პერიოდის განმავლობაში სავარაუდოდ გაიზრდება.



განათლება, ტრენინგი და მობილობა

პროგრამა Erasmus+: 2017-2020 წლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისთვის გამოყოფილი 210 მილიონი ევრო 80,000-ზე მეტ ახალგაზრდას, ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ადამიანს, სტუდენტს და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს აძლევს საშუალებას ისარგებლოს გაცვლებით, რომელთა შორისაა:

- სასწავლო სტიპენდიები ევროპაში
- სტუდენტური გაცვლები
- ევროპის სოლიდარობის კორპუსი
- ახალგაზრდობის გაცვლები

უმადლეი განათლების რეფორმა: დაახლოებით 65 მილიონი ევრო ევროკავშირის ბილტერალური მხარდაჭერის სახით 2017-2020 წლებისთვის ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციას და მისი ხარისხის უზრუნველყოფას.

eTwinning Plus: 2020 წლისთვის 3,000-ზე მეტი სკოლა მთელი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონიდან ერთმანეთთან დაკავშირებულია პროგრამის eTwinning Plus საშუალებით, ხოლო 7,700 მასწავლებელი გაცვლის და პროფესიული განვითარების პროექტებში მონაწილეობს.

ევროპული სკოლა საქართველოში: 2018 წლის სექტემბერში გახსნილი წარმატების შუქურა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მოსწავლეებისთვის, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულ მაღალი ხარისხის განათლებას მიიღებენ. მოსწავლეების მესამე კოორტასთან ერთად, რომელმაც სწავლა 2020 წლის სექტემბერში დაიწყო, 105 ახალგაზრდა იღებს მაღალი ხარისხის მრავალენოვან და მულტიკულტურულ განათლებას, ევროკავშირის, მისი ძირითადი ღირებულებების, და აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ ცოდნის ჩათვლით.



დასაქმება და მენარმობა

EU4Youth: 43 მილიონი ევრო აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისთვის სამენარმო პოტენციალის ხელშეწყობის და შრომის ბაზრის უნარების განვითარებისთვის ბიზნეს-ინკუბატორების და ინოვაციური კლასტრების შექმნით, მენარმობაზე ორიენტირებული მენტორობის სექციებით, სოციალური მენარმეობის ჩათვლით, და არაფორმალური აღდგენის პროგრამებით მათთვის, ვინც სკოლა ნადრევედ მიატოვა.

2017-2019 წლებში ათი დიდი გრანტი გაიცა არახელსაყრელი მდგომარეობის მქონე ახალგაზრდების დასაქმების უნარის და მენარმეობის მხარდასაჭერად. გარდა ამისა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან 287 ორგანიზაცია მონაწილეობს პროგრამის EU4Youth პოტენციალის შექმნის მცირე სავარანტო პროექტებში.

პროფესიული განათლება და ტრენინგი: დაახლოებით 80 მილიონ ევრო ევროკავშირის ბილტერალური მხარდაჭერის სახით 2017-2020 წლებისთვის უნარების გაუმჯობესების, პროფესიულ განათლებასა და ტრენინგში კერძო სექტორის უკეთესი ჩართულობის, კვალიფიკაციების მოდერნიზაციის და ახალგაზრდობისთვის პროფესიული განათლების და ტრენინგის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით.

ევროპის განათლების ფონდი: თანამშრომლობის მხარდაჭერა პოლიტიკის კარტირებით ახალგაზრდების მხარდასაჭერად შრომითი საქმიანობის დაწყებისას, საქმიანობის პროორიტეტების განსაზღვრის მიზნით და ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგიების მხარდასაჭერად.



მონაწილეობა და ლიდერობა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდობის მე-4 ფორუმზე 2019 წელს განიხილეს „კრიტიკული აზროვნება მედია-ინფორმაციის და აქტიური მონაწილეობის საშუალებით“, ხოლო 2020 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდობის ვირტუალურმა სამიტმა პოპულარიზაცია გაუწია 2020 წლის შემდგომი ინიციატივის „ახალი შეთანხმება ახალგაზრდობისთვის“ ძირითად პრიორიტეტებთან დაკავშირებულ გაცვლებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სასტიპენდიო პროგრამა: სამოქალაქო საზოგადოების ახალგაზრდა ლიდერების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ლიდერობის და უნარების განვითარების მიზნით – 80 სტიპენდიანტი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონიდან იყო შერჩეული 2017-2020 წლებში.

პროექტის EU4Youth სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიები ახალგაზრდობისთვის: ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა და დაახლოებით 460 სტიპენდიანტი პოლიტიკის განვითარების აქტიურ მონაწილეებად ჩამოყალიბების მიზნით.

ევროპის სოლიდარობის კორპუსი: 2018 წლიდან ღიაა მუშობელი ქვეყნების 18-30 წლის ახალგაზრდებისთვის.

ახალგაზრდა ევროპელი ელჩები: 700-ზე მეტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩი“ მხარს უჭერს თანამშრომლობას ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პროექტის „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ (EU NEIGHBOURS east) ფარგლებში.

EU4Youth ურსდამთავრებულთა ქსელი: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებულ ენთუზიზმსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ევროკავშირის სხვადასხვა ახალგაზრდული ინიციატივის ურსდამთავრებულები მხარს უჭერენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების უფრო მეტ ჩართულობას ადგილობრივ საზოგადოებებში და ევროკავშირის მობილობის პროგრამებში.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა სხვადასხვა სექტორში

ინიციატივები EU4Business, EU4Innovation და EU4Digital მხარს უჭერს ახალგაზრდებს, ისევე როგორც სხვებს, მენარმეობის, ინოვაციების და ციფრულ სექტორებში.

მაღე: ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის მხარდაჭერა კულტურის სექტორში პროგრამის EU4Culture საშუალებით.

ახალგაზრდა ხმები მთელი აღმოსავლეთ პარტნიორობიდან

სომხეთი



ალა სოგომონიანი

პროექტი EU4Youth შრომითი მონყობა და სტაბილურობა

„ვერც კი წარმომედგინა, რომ პროექტს შეეძლო ასეთი უდიდესი გავლენა მოეხდინა ჩემს ცხოვრებაზე. ჩემი ცხოვრება შეიცვალა, მე შევიცვალე აზროვნების და საქმიანობის სტილი და მჯერა, რომ ჩემი ბიზნესი გაიზრდება და წარმატებული გახდება“.

აზერბაიჯანი



ზაურ უნსიზადა

პროექტი EU4Youth პოტენციალის შექმნა

„ამ პროგრამამ რეალურად შეცვალა ჩემი თვალსაზრისი სოციალურ მენარმეობაზე ქმედითი საქმიანობის მნიშვნელობის ხაზგასმით. მე დაბეჯითებით ვუწვევ რეკომენდაციას ამ პროგრამას მათთვის, ვისაც ცვლილების სჯერა“.

ბელარუსი




ჰანა პიშიკი

ახალგაზრდა ევროპელი ელჩები

„ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ვარ ახალგაზრდა ევროპელი ელჩი - ეს არის შექმნის, განხორციელების და ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რომლის საშუალებით შემიძლია ჩემი გამოცდილება და მოსაზრებები გავუზიარო ახალგაზრდებს ბელარუსში და მის ფარგლებს გარეთ“.

საქართველო



დავით ქირია

პროგრამა Erasmus+ ახალგაზრდობისთვის

„ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობას აქვს მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლის პოტენციალი და პროგრამა Erasmus+ მათ ყველა საშუალებას სთავაზობს ამის განსახორციელებლად“.

მოლდოვის რესპუბლიკა



კონსტანტინ არჩიპი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სკოლა

„ამ სკოლამ მომცა პროფესიული ზრდის უნიკალური შანსი მაღალი აკადემიური სტანდარტების და კლასგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალებით. აღმოვაჩინე, რომ მაქვს უდიდესი მისწრაფება მოვახდინო დადებითი გავლენა ჩემს ირგვლივ მყოფებზე, საზოგადოებაზე, რომელშიც ვცხოვრობ, და მთელ მსოფლიოზე“.

უკრაინა



სტეფანია მარშალენკო

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიები

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სტიპენდიანტობა რეალური შესაძლებლობაა ლიდერის უნარების გასაუმჯობესებლად იმისათვის, რომ შექმნა სასარგებლო ბიზნესი შენი მშობლიური ქვეყნის საზოგადოებისთვის, ასევე ფასდაუდებელი ცოდნის და გამოცდილების მისაღებად პროფესიონალი მენტორებისგან“.

გაიგეთ მეტი

ახალგაზრდობის მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან
www.euneighbours.eu/en/east/eu-in-action/youth

პროგრამა ERASMUS+
www.ec.europa.eu/programmes/erasmus-plus

ევროპის განათლების ფონდი
www.etf.europa.eu

პროგრამა eTWINNING PLUS
www.plus.etwinning.net